

საქმე
148/15
04.08.15

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის
აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს
დირექტორს სოსო სტურუას

ასლი სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის
ტელევიზიისა და რადიო“-ს მრჩეველთა
საბჭოს თავმჯდომარეს ზაზა ხალვაშს

ბატონო, სოსო

მას შემდეგ, რაც „აჭარის ტელევიზია და რადიო“, როგორც აჭარის არ მთავრობის ერთ-ერთი საქვეუწყებო ორგანიზაცია, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ჩამოყალიბდა საჯარო სამართლის იურიდიულ პირად (სსიპ), სახელწოდებით „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“. განხორციელებული რეფორმების შედეგად, (დაგროვილი გამოცდილების გათვალისწინებით, შენარჩუნებული ტრადიციებით) სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“ მოახერხა სამაუწყებლო სივრცეში დაეკავებინა მნიშვნელოვანი ადგილი, რაც დასტურდება სხვადასხვა ავტორიტეტული ორგანიზაციების კვლევის შედეგებით, თუმცა განვლილი პერიოდის განმავლობაში დაშვებული იქნა არაერთი შეცდომა, რაც გავლენას ახდენს, როგორც ტელევიზიისა და რადიოს მუშაობაზე, ასევე საზოგადოებაში ქმნის (მათ შორის ტელევიზიის შიგნით) მაუწყებლისადმი ნეგატიურ განწყობას.

მრჩეველთა საბჭოს სხდომებზე გაჟღერებული იქნა არაერთი საკითხი, რომლებიც სამწუხაროდ რიგ შემთხვევებში მენეჯმენტის მიერ იგნორირებულია ან არაჯეროვნად მოხდა მათი გათვალისწინება. სწორედ ამიტომ, თავს ვალდებული ვთვლი, (ამჯერად წერილობით), მოგმართოთ და მოგაწოდოთ მოსაზრებები მენეჯმენტის მუშაობის ნაკლოვანებებთან დაკავშირებით, ჩემი მრჩეველთა საბჭოში მოსვლის დღიდან.

მივცვეთ ქრონოლოგიურად:

1. თქვენი 27.10.2014 წლის N01-05/146 ბრძანების შესაბამისად, სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს საინფორმაციო სამსახურში განხორციელდა ორგანიზაციული ცვლილება და 2014 წლის 1 ნოემბრიდან გაუქმდა თბილისის საკორესპოდენტო პუნქტი, რის გამოც საკორესპოდენტო პუნქტის თანამშრომლებს (პ. შამუგია, მ. ანდრონიკაშვილი, ლ. მიდოდაშვილი, ა. ზოიძე, ლ. ფოფხაძე) შეუწყდათ შრომითი

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის
აჭარის ტელევიზია და რადიო
შეიქმნა № 02-19/730
04 08 2015

ხელშეკრულება და გაიცა კომპენსაცია, თითოეულზე ორი თვის შრომის ანაზღაურების ოდენობით.

ხუთ თანამშრომელზე ორ-ორი თვის კომპენსაციის (სულ ცოტა ათი ათასი ლარი) გაცემა, მაშინ როდესაც, ამ თანამშრომლებს ორი თვის შემდეგ ხელშეკრულებების ვადა ისედაც უმთავრდებოდათ, გაუმართლებელია.

ხელშეკრულების დამთავრებამდე ამ თანამშრომელთა ტელევიზიის სასიკეთოდ დასაქმება შეიძლებოდა არაერთი მიმართულებით.

2. თბილისის საკორესპოდენტო პუნქტის გაუქმების მიზანშეწონილობის ასახსნელად დასახელებულ მიზეზთა შორის ერთ-ერთი იყო ის, რომ უნდა გაძლიერებულიყო რეგიონალური (მუნიციპალური) საკორესპოდენტო პუნქტები, თუმცა მაგალითად ქედის მუნიციპალიტეტში დღესაც არ გვაქვს კორპუნქტი. ხულოს მუნიციპალიტეტში კი ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ გათავისუფლებულ თანამშრომელთა შემცვლელების დანიშვნა ვერ მოხერხდა ერთი თვის (იანვარი) განმავლობაში, რამაც გამოიწვია აზრის გავრცელება, რომ თანამშრომელთა გათავისუფლება მოხდა ადგილობრივი ხელისუფლების ზეწოლის შედეგად.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს ერთ-ერთი დეპუტატი თქვენდამი მოწერილ წერილში, ასე ვთქვათ, პირდაპირ ხელს ადებს რაიონის ხელმძღვანელობას ჟურნალისტური საქმიანობის გაკონტროლების მცდელობაში. დეპუტატი წერილის ასლს უგზავნის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელს. ტელევიზიის მიერ არ მოხდა ჯეროვანი რეაქცია აღნიშნულ წერილზე. თქვენ შემოიფარგლეთ პასუხით, რომელშიც კატეგორიულად გამორიცხავთ ზეწოლის მცდელობასაც კი. გაუგებარია რის საფუძველზე, როდესაც ფაქტიურად არ მომხდარა კორესპონდენციაში მოყვანილი ბრალდების შესწავლა, სასურველი იყო „ფაქტის“ ზედმიწევნით შესწავლა. ეს კი დადასტურების შემთხვევაში (დაუდასტურებლობის შემთხვევაშიც კი) ჟურნალისტებში, ზოგადად მედია სივრცეში გააჩენდა დაცულობის განცდას, რაც ერთობ მნიშვნელოვანია ჟურნალისტური საქმიანობისათვის.

3. მიმდინარე წლის მარტის თვის ბოლოდან შეწყდა გადაცემა „ეკონომისტი“, რაც ყოველად გაუმართლებელია, რადგან მოსახლეობისათვის ძალზედ მნიშვნელოვანია ინფორმაციის მიღება ეკონომიკურ საკითხებზე (ამ პერიოდში მოხდა ეკონომიკური ვარდნა არა მარტო ქვეყნის, არამედ რეგიონის მასშტაბით, სხვადასხვა ეროვნული ვალუტის, მათ შორის ლარის კურსის მკვეთრი ვარდნა დოლართან მიმართებაში და ა.შ.). ამ მიმართულების გადაცემის აუცილებლობაზე ვსაუბრობდით, არა მარტო მრჩეველთა საბჭოს სხდომებზე, არამედ პირადად მე განსაკუთრებით ვამახვილებდი ყურადღებას ჩემს კონცეფციაშიც.

გადაცემის შეწყვეტა იმ მიზეზით, რომ თითქოს ვერ მოიძებნა გადაცემის ავტორის შემცვლელი, მიუღებელია, რადგან ქ. ბათუმში, მათ შორის საუნივერსიტეტო წრეებში, მოიძებნება ამ დარგის არაერთი კვალიფიციური სპეციალისტი, თანაც ეს არ უნდა ყოფილიყო მენეჯმენტის პრობლემა, რადგან გადაცემა „ეკონომისტი“ წარმოადგენს ე.წ. გარე პროექტს.

თქვენსა და შპს „ლაიმ სტუდიოს“ შორის 2015 წლის 10 ივნისს გაფორმებული 2014 წლის 29 სექტემბრის N139 სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ N139/1 ხელშეკრულება შეიძლება აღქმული იქნას N139 ხელშეკრულების 11.1. პუნქტით (ხელშეკრულების ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის და/ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში (მათ შორის ვადების დარღვევაში) მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო, სახელშეკრულებო თანხის 10 % ოდენობით, რომლის გადახდა მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში) გათვალისწინებული სანქციების (8400 ლარი) მომწოდებლისადმი აცილების მცდელობად. არაფერს ვამბობ ამ და სხვა ელექტრონული ტენდერების ჩატარების შემდეგ გაჩენილ კითხვებზე, რადგან მიმაჩნია, რომ შემდგომში ეს საკითხი სიღრმისეულად შესწავლილი უნდა იქნას, როგორც მრჩეველთა საბჭოს, (იხილეთ, მრჩეველთა საბჭოს 2014 წლის 23 ოქტომბრის რეკომენდაცია) ასევე მენეჯმენტის მიერ შემდგომში გათვალისწინების მიზნით.

4. სხვადასხვა დროს საინფორმაციო საშუალებებით გავიდა არაერთი მცდარი ინფორმაცია, რაზეც მენეჯმენტის მხრიდან არ მოყოლია არანაირი რეაგირება. ჩვენი კორესპონდენციის პაუზად კი, რომლითაც მოვითხოვეთ ინფორმაციის მოწოდება (უზუსტობების და შეცდომების შემთხვევაში როგორ ხდებოდა მონაცემთა შეგროვება, რა მექანიზმები არსებობდა მსგავსი ლაფსუსების თავიდან ასაცილებლად და რა ღონისძიებებს ატარებდა მენეჯმენტი) მივიღეთ გაურკვეველი და საკმაოდ ბუნდოვანი პასუხი, რომლითაც შეუძლებელია იმის დადგენა, თუ ვინ არის ეთერში გაშვებულ შეცდომებზე პასუხისმგებელი პირი, ვინ ახდენს მათ აკუმულირებას და რაც მთავარია, მენეჯმენტის მხრიდან რეაგირების რა მექანიზმი არსებობს აღნიშნულ დარღვევებზე.

მრჩეველთა საბჭოს ჯერ კიდევ 2014 წლის თებერვლის თვის სხდომაზე მრჩეველთა საბჭოს წევრთა სახელით მოცემული იქნა რეკომენდაცია, თანამშრომელთა თანამდებობრივი ინსტრუქციის შესამუშავებლად და წარმოსადგენად, თუმცა დღემდე ზემოაღნიშნული დოკუმენტი სრული სახით მრჩეველთა საბჭოს წევრთათვის ვერ იქნა წარმოდგენილი. ყოველივე ეს კი ნათელი დადასტურებაა მენეჯმენტის არაჯეროვანი საქმიანობისა, რადგან თანამდებობრივი ინსტრუქციის არსებობის შემთხვევაში დოკუმენტით განისაზღვრებოდა პასუხისმგებელი პირი, აღნიშნული დარღვევების აკუმულირებასა და აღმოფხვრაზე.

5. მიმდინარე წლის აპრილის თვეში აჭარის ტელევიზიის ეთერში არ გავიდა დაანონსებული გადაცემა, „სპეციალური რეპორტაჟი“ სათაურით, „ჯართად ქცეული ეკონომიკა“. გადაცემის არგასვლამ საზოგადოებაში, მათ შორის პოლიტიკურ წრეებში, გამოიწვია სრულიად სამართლიანი, რბილად რომ ვთქვათ, გულისწყრომა.

მიუხედავად იმისა, რომ გადაცემა გავიდა ერთი კვირის შემდეგ, კითხვები იმ მიზეზებთან დაკავშირებით, თუ რატომ მოიხსნა გადაცემა, რატომ მოხდა მოუმზადებელი გადაცემის ანონსირება, იყო თუ არა ზეწოლა, რა მოხდა ბოლოს და ბოლოს მაინც ვერ გაირკვა.

მრჩეველთა საბჭოს სხდომებზე არაერთი მოთხოვნის მიუხედავად არ არის გარკვეული:

ა) რატომ მოიკითხეთ თქვენ გადაცემის „ვარგისიანობა“ მხოლოდ სამშაბათს, გადაცემის გასვლის დღეს და ვისგან გაიგეთ გადაცემის მოუმზადებლობის შესახებ.

ბ) რატომ არ მოვუხადეთ ბოდიში მაყურებელს (ანონსის გასვლის მაგივრად), როცა უკვე გადაწყვეტილი იყო გადაცემის ამოღება.

გ) რა ტიპის ხარვეზი ჰქონდა დაანონსებულ სატელევიზიო პროდუქტს და რა გამოსწორდა ერთი კვირის თავზე.

ჩემს მიერ შემოთავაზებული იყო, რომ წერილობით გაგეცათ პასუხი ზემოთ დასმულ კითხვებზე, მოვითხოვე პასუხის გაცემისათვის შემოთავაზებულ დროსთან შედარებით უფრო ხანგრძლივი დრო, რადგან მინდოდა მიგველო სიღრმისეული ანალიზი ამ უკვე სკანდალურ საკითხთან დაკავშირებით, თუმცა თქვენი პასუხები მცირედიტაც ვერ აკმაყოფილებს მრჩეველთა საბჭოს მიერ დაყენებულ მოთხოვნას. გთავაზობდით ჩემეულ ვარიანტს, (მექანიზმს) მსგავსი ტიპის საკითხებთან დაკავშირებით: „პროდუქტის უვარგისობის შემთხვევაში კვალიფიციური სპეციალისტების მიერ უნდა შედგეს აქტი, უნდა დაიწეროს დასკვნა“. ჩვენს შემთხვევაში, სხვებთან ერთად მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე რუსუდან იმედაიშვილი, გამოხატავდა აზრს გადაცემის მოუმზადებლობასთან დაკავშირებით, მაგრამ თქვენ არ გამოიყენეთ არც იმედაიშვილის, არც სხვების კვალიფიკაცია და ფაქტიურად ერთპიროვნულად მოხსენით გადაცემა ეთერიდან, რამაც გამოიწვია სამართლიანი გულისწყრომა, გაჩნდა კითხვები ტელევიზიის თავისუფალ, მიუკერძოებელ მაუწყებლობასთან დაკავშირებით.

6. კითხვები ტელევიზიის თავისუფალ, მიუკერძოებელ მაუწყებლობასთან დაკავშირებით კიდევ უფრო გაღრმავდა მას შემდეგ, როცა ვებგვერდზე ატვირთული ერთ-ერთი მასალა მოიხსნა, მხოლოდ თქვენი უშუალო მითითებით. გარკვეული აჟიოტაჟის შემდეგ ვებგვერდზე კვლავ დაიდო საზოგადოების გარკვეული ნაწილისათვის საჩოთირო მასალა, მაგრამ... გამოვიდა, რომ არ დავიცავით მედიის, მათ შორის ელექტრონული მედიის ელემენტარული მოთხოვნები.

2015 წლის 19 ივნისის N02-19/238 მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარისადმი მიწერილი წერილით ირკვევა, რომ გაითვალისწინეთ „თბილისში მცხოვრები ბათუმელების მოსაზრება,“ რაც მაფიქრებინებს, რომ თქვენ ვერ იქნებით გარანტი იმისა, რომ სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“ არ მოექცევა ზოგადად ძალაუფლების მატარებელი ორგანოების (მათ შორის სახელისუფლებო) გავლენის ქვეშ, ეს კი საგანგაშოა, რადგან მაუწყებლობის შესახებ „საქართველოს კანონის“ მე-16 მუხლის თანახმად:

„საზოგადოებრივი მაუწყებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს პროგრამების სარედაქციო დამოუკიდებლობა, სამართლიანობა და მიუკერძოებლობა, სახელისუფლებო, პოლიტიკური, რელიგიური და კომერციული გავლენისაგან თავისუფლება.”

7. 2015 წლის 9 ივლისს ვერ მოხერხდა დაანონსებული საფეხბურთო მატჩის ტრანსლირება ბათუმის დინამოსა და ნიქოზიის ომონიას შორის, რამაც გამოიწვია ფეხბურთის გულშემატკივართა სამართლიანი აღშფოთება.

მიუხედავად იმისა, რომ ტექნიკურად ტელევიზიის ბრალეულობა რეპორტაჟის გაუსვლელობასთან დაკავშირებით არ იყო, მენეჯმენტი, ამ შემთხვევაშიც მოიქცა არა ეფექტურად. არ გავიდა საინფორმაციო გამოშვება 21 საათზე, რომლის დროსაც სასურველი იყო გვეჩვენებინა ტელევიზიის თანამშრომელთა მცდელობები საფეხბურთო მატჩის სიგნალის მიღებასთან დაკავშირებით. უნდა განხორციელებულიყო სხვადასხვა აქტივობა, მაგალითად, სატელეფონო ჩართვა ნიქოზიიდან და სხვა.


მხოლოდ ზემოთქმულიდან გამომდინარე, თქვენი ხელმძღვანელობის პირობებში აშკარად იკვეთება მენეჯმენტის საქმიანობის ხარვეზები სხვადასხვა მიმართულებით. რის გამოც, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 35¹¹ მუხლის მე-3 პუნქტის (მრჩეველთა საბჭო უფლებამოსილია სრული შემადგენლობის უმრავლესობით უნდობლობა გამოუცხადოს დირექტორს, თუ ამას წერილობით მოითხოვს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთი მესამედი) შესაბამისად შესაძლოა დადგეს სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს დირექტორის პასუხისმგებლობის საკითხი, ამიტომ გთხოვთ, მიიღოთ ადექვატური გადაწყვეტილება, რომელიც სასიკეთოდ წაადგება საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს შემდგომ განვითარებასა და სრულყოფას.

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის

აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს

მრჩეველთა საბჭოს წევრი

ბეჟან გობაძე

გ. 
04.08.2015 წ.